სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 15 ოქტომბერი, 2020 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვ-ნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი.

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ზურაბ ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;

სხდომას არ ესწრებოდა:

ივანე კვიტაიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;

2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის საქართველოდან გასამგზავრებელი ეკონომ კლასის სამი ცალი ცალმხრივი ავიაბილეთის ***(60410000 - სარეისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები)*** სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია. შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ღირებულებად დადგინდა - **5735** (ხუთიათას შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე:	დავით ხვედელიძე -
კომისიის წევრები:	ია ძებისაური -
	ნიკო გიგოლაშვილი -
	როსტომ თოლორდავა -
კომისიის აპარატის წევრები:	ზურაბ ხეცურიანი -